პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 48-ე წელი | № 274 (13966) | პარასკევი, 24 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# ხუთწლედი — ვადამდე!

## მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია

[illegible]

...კური საბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშას ფლობს, კიდევ უფრო ზრდის საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებს. მკერავებმა 10 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს საიუბილეო წლის 11 თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2 მილიონ 106 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმი. პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 17 ნოემბრისათვის შეასრულეს.

განვლილ პერიოდში ფაბრიკაში 129 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს, გეგმასთან შედარებით 9 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, დაზოგეს 121.571 კვადრატული მეტრი სხვადასხვა ქსოვილი და 17 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ხოლო პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვება გათვალისწინებულთან შედარებით 2,8 პროცენტით გაადიდეს.

სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ფაბრიკას ამ დღეებში კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის საწარმოს საპატიო სახელი მიეკუთვნა.

მოწინავე საწარმოს კოლექტივმა კარ-

[illegible]

...ლებისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლას.

ახალ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებსაც ხელს აწერენ ფაბრიკის დირექტორი ა. ტოფაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ქანდარია, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე თ. მარჯანიშვილი, ალკკ კომიტეტის მდივანი ლ. ზარანდია, მოწინავე მკერავები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. რობაქიძე, შ. ბეშკენაძე და გ. გოგორიშვილი, ნათქვამია:

საიუბილეო წლის გეგმას შევასრულებთ 1 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვებთ 210 ათასი მანეთის საერთო და 2 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას. წლის ბოლომდე ავითვისებთ კიდევ ერთი ახალი სახის პროდუქციას და დავიწყებთ ქალისა და მამაკაცის ნიტრონის ქსოვილისაგან დამზადებული ლაბადების გამოშვებას.

ხუთწლედის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე მისი რეალიზაციის გეგმას შევასრულებთ ვადაზე 2 თვით ადრე — 1970 წლის 1 ნოემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის უკანასკნელი წლის ხუთი თვის დავალებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით გავანაღდებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე — 1970 წლის 22 აპრილისათვის.

ხუთწლედის ბოლოსათვის შრომის

[illegible]

...გრნებათა დანერგვით სამშობლოს მივცემთ 200 ათას მანეთ პირობით ეკონომიას. ხუთწლედში მივაღწევთ 450 ათასი კვადრატული მეტრი სხვადასხვა ქსოვილის ეკონომიას, დავზოგავთ 112 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმი აუვანილ იქნას საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე. გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას გავადიდებთ 0,3 პროცენტით. გეგმასთან შედარებით ხუთწლედის მანძილზე მოგებას გავზრდით სულ მცირე 3 პროცენტით.

მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკონსტრუირებული იქნება მოსამზადებელი, საგამომჭრელო და ექსპერიმენტული საამქროები. კაპიტალურ რემონტს გავუკეთებთ ფაბრიკის მუშათა კლუბს. მოვაწყობთ ფაბრიკის ისტორიის ამსახველ მუზეუმს.

ქუთაისელი მკერავები, რომლებიც მოსკოვის სამკერვალო გაერთიანება „მოსკვას“ კოლექტივს, აგრეთვე ლენინაკანელ და კიროვაბადელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, თავდადებით შრომობენ, რათა გაანაღდონ თავიანთი პირობა და ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## მომხმარებელს რომ მოსწონდეს

სოხუმი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას და ჩაება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომბინატში გაიმართა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის და მოსამსახურეთა საერთო კრება.

მოწინავე მუშებმა, საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელებმა მოიწონეს მოსკოველთა თაოსნობა, იმსჯელეს არსებულ რეზერვებზე, წარმოების ეკონომიურ ეფექტიანობაზე და კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს.

კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის გეგმა 1970 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულოს, მნიშვნელოვნად გაზარდოს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალება, ხუთწლედში გეგმის გადაჭარბებით დაამზადოს 35.000 წყვილი ფეხსაცმელი, რბილი და მაგარი ტყავის დაზოგილი მასალებისაგან გამოუშვას 40 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

მეფეხსაცმელეებმა ვალდებულება იკისრეს აგრეთვე მკვეთრად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, ფართოდ დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებები, აითვისონ ახალი მოდელის ფეხსაცმლის გამოშვება.

# ასე აფეთქებენ კლდეებს

**საბურღი** მანქანები ქვემეხებივით აღიმართნენ და ამოქმედდნენ.

მათმა გუგუნმა ენგურის ხეობა გააყრუა.

შირასთან კალატოზები შენობას აგებენ. ეს ამფეთქებელთა რეზიდენცია იქნება ენგურჰესის მშენებელთა პირველ უბანზე. ამფეთქებლები ორ ცვლად მუშაობენ. ანგრევენ კლდეებს, გაჰყავთ გზები, ბილიკები, ასუფთავებენ ქარაფებს, იბზარება კლდეები. მაგრამ როცა საქმე კაშხალის ფუნდამენტალური ნაწილის გაწმენდაზე მიდგა, ასეთი აფეთქებები ვერ აღმოჩნდა ხელსაყრელი. კლდის პატარა ნაბზარშიც კი შეიძლება წყალი გაიპაროს. თუმცა ამას არასოდეს არ დაუშვებენ მშენებლები, ნაპრალებსა და ნაბზარებს უმტკიცესი ბეტონით ამოავსებენ, მაგრამ ამას ხომ ზედმეტი ხარჯი სჭირდება?! და ეს ასე რომ არ მომხდარიყო, ამფეთქებლებმა გადაწყვიტეს აფეთქების ახალი, გლუვ ზედაპირიანი მეთოდი გამოეყენებინათ. რას ნიშნავს ეს?

...საბურღმა მანქანებმა სამუშაო უკვე დაამთავრეს. ჩამოსანგრევი კლდე ვერტიკალურად რამდენიმე ადგილას არის გაბურღილი. ამფეთქებლები სწრაფად მოქმედებენ. გაისმის ძლიერი აფეთქების ხმა და, როცა მტვერი გაიფანტება, აფეთქების ადგილზე სუფთად ჩამოჭრილი კედელი აღიმართება, არც ერთი ბზარი, გამონაშვერი არ დარჩენია კლდეს. ეს კი ქმნის სამუშაოებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. აღარ არის საშიში ქვის ცვენა. არსად ჩანს ნაპრალი. ამით კი დაიზოგა რკინა, ბეტონი, მანქანები, მუშახელი. კაშხალი საიმედო საფუძველზე იქნება დაყრდნობილი.

ახალი მეთოდით აფეთქების პირველმა სერიამ, რომელიც ამას წინათ განახორციელეს ენგურჰესის მშენებლებმა, შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

— ეს მეთოდი ჯერჯერობით მხოლოდ დაღესტანში, მდინარე სულაკზე ჩირკეიჰესის მშენებლობაზე გამოიყენეს, — თქვა კაშხალმშენის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების უფროსმა ა. ქირიამ. წელიწადზე მეტია მშენებლები ამ მეთოდის დანერგვაზე მუშაობდნენ და აი, ცდამ შედეგი გამოიღო. ი. ვართაზარიანი, გ. ბენდელიანი, კ. აკობია, ძმები ომარ და ზაურ ხახიაშვილები, ო. სულაძე, ჯ. ბურჯალიანი და მათი ბრიგადირი ა. ფროლოვი ენგურჰესის მშენებლობაზე ამ საქმის პიონერები არიან.

**ზ. ფიფია.**

• • •



ეროვნული ბიბლიოთეკა

ენგურჰესი. მშენებელთა ცვლა გვირაბში სამუშაოდ მიეშურება.
ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.

# ქართული მარკით

**დასასრულს** უახლოვდება საიუბილეო წელი. დადგა წლის მანძილზე მოპოვებული შრომითი მაჩვენებლების შეჯამების დრო. ჩვენი რესპუბლიკის სხვა საწარმოებთან ერთად სამტრესტის № 3 ღვინის ქარხნის კოლექტივმა გადახედა საიუბილეო წლის შრომითს გზას: გაკეთებული ცოტა როდია.

ჩვენმა კოლექტივმა დღესასწაულამდე შეასრულა საიუბილეო წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. 10 თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 27.500 დეკალიტრი ღვინო და რეალიზებულია 209 ათასი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის თვითღირებულება 0,3 პროცენტით შემცირდა. სახელმწიფოს მივეცით 24 ათასი მანეთი მოგება.

ქარხნის კოლექტივმა ამ წარმატებებისათვის ღირსეული ჯილდოც მიიღო. რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საზეიმო ვითარებაში გადმოგვეცა საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და მოსკოველ ელექტრომექანიკოსთა საპასუხოდ კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

ხუთწლედის გეგმას შევასრულებთ ვადაზე ადრე — 1970 წლის 15 ოქტომბრისათვის. ხუთწლედის ბოლოს გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 2 მილიონი მანეთის პროდუქციას, სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით მივცემთ 200 ათას დეკალიტრ ღვინოს, 165 ათას მანეთ მოგებას, 160 ათასი მანეთით შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას, 1965 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 26 პროცენტით. მარტო წარმოების დანახარჯების შემცირებით ხუთწლედში გამოვუშვებთ 1.060 დეკალიტრ ღვინოს, 6 პროცენტით შევამცირებთ ელექტროენერგიისა და გათბობის ხარჯებს, დამატებით დავამონტაჟებთ 150 ათასი დეკალიტრი ტევადობის სტაციონარულ ტარას. ხუთწლედში ქარხნის წარმადობას გავზრდით 200 ათასი დეკალიტრით. ყველაფერ ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ კმაყოფილი დარჩეს მომხმარებელი.

სამტრესტის № 3 ღვინის ქარხნის კოლექტივის დავალებით: ზ. კიკნაძე — ქარხნის დირექტორი, ზ. შარაშენიძე — პარტბიუროს მდივანი, ტ. წერეთელი — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, გ. სადღაშვილი — ალკკ კომიტეტის მდივანი, ე. დემეტრაშვილი — კომუნისტური შრომის ბრიგადის თავკაცი.

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

ამ ბოლო დროს სერიოზულად გამწვავდა მდგომარეობა კვიპროსში და კვიპროსის გარშემო.

როგორც ცნობილია, ასეთი გამწვავების საბაბი იყო კვიპროსის ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფთა და კვიპროსელ თურქთა შეიარაღებული შეტაკება, რომელიც მიმდინარე წლის 15 ნოემბერს მოხდა კვიპროსის ერთ-ერთ რაიონში, სადაც ცხოვრობს ბერძენთა და თურქთა შერეული მოსახლეობა. სამხედრო შეტაკებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საბერძნეთის ჯარები, რომლებიც კვიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან, რაც მისი სუვერენიტეტის დარღვევაა. ამ ჯარებსა და კვიპროსის ეროვნულ გვარდიას მეთაურობდა საბერძნეთის რეაქციული მილიტარისტული წრეების წარმომადგენელი გენერალი გრივასი. საომარი მოქმედების შედეგად, რომლის დროს გამოიყენეს არტილერია და სხვა იარაღი, არის მსხვერპლი, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობაშიც.

თუმცა ამჟამად კვიპროსში შეწყდა შეიარაღებული შეტაკებანი, მაგრამ ვითარება ამ რაიონში კვლავ დაძაბულია, სულ უფრო დიდი საფრთხე მოელის კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონის მშვიდობასა და უშიშროებას.

საბერძნეთის არმია საბრძოლოდ არის გამზადებული. ათენის რეაქციული ოფიცრობა აკეთებს აშკარად წამქეზებლურ განცხადებებს, რათა შექმნას საბაბი კვიპროსის საშინაო საქმეებში შეუნიღბავი ჩარევისათვის.

კვიპროსის ახლანდელი ამბების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით საბერძნეთის იმ რეაქციული წრეების პოლიტიკას, რომლებიც გარეშე ძალების მხარდაჭერით უკვე დიდი ხანია აჩენენ გეგმებს, რომლებითაც გათვალისწინებულია კვიპროსის პრობლემის გადაჭრა სამხედრო მეთოდებით, კვიპროსის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ლიკვიდაცია ეგრეთწოდებული „ენოზისის“ გზით, ესე იგი კვიპროსის საბერძნეთთან შეერთების გზით. სამხედრო წრეები, რომლებიც ახლა საბერძნეთის ხელისუფლების სათავეში დგანან, და მათი აგენტურა კვიპროსში ცდილობენ მთელი კვიპროსის კუნძული გადააქციონ ნატოს სამხედრო ბაზად, ამ ქვეყნის დემოკრატიული ძალები დათრგუნონ იმავე დანაშაულებრივი ტერორისტული მეთოდებით, რომელთა საშუალებით მათ ახლა უსწორდებიან საბერძნეთში.

კვიპროსში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით თურქეთის მთავრობა, თავის მხრივ, იმიზეზებს საკუთარ გარკვეულ ინტერესებს და ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს. თურქეთის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული, ქმნიან სპეციალურ ქვეგანაყოფებს კვიპროსში გადასაყვანად, თურქეთის სამხედრო ხომალდები დაცურავენ კვიპროსის რაიონში.

როგორც ჩანს, კვიპროსის გარშემო ვითარების გამწვავება უშუალოდ დაკავშირებულია ნატოს იმ წრეების გეგმებთან, რომლებსაც სურთ კვიპროსელი ხალხის ინტერესების, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარჯზე დაძლიონ ამ სამხედრო ბლოკის მონაწილეთა შორის შექმნილი უთანხმოებანი. მკვეთრად განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეების განცხადებანი, თითქოს ამერიკის პოლიტიკა ამ რაიონში „დაშოშმინების“ პოლიტიკა იყოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პრაქტიკული მოქმედებისაგან, რომელიც იწვევს ვითარების გამწვავებასა და კვიპროსის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევას. ვერავინ ვერ დაიჯერებს, რომ ბერძენი ოფიცრობის მოქმედებაზე კვიპროსში გავლენას არ ახდენენ და მხარს არ უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ვინაიდან ამჟამად საბერძნეთი თვითონ მოექცა ამერიკის სამხედრო ბაზების მარწუხში.

საბჭოთა მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას კვიპროსის რაიონში. მას საჭიროდ მიაჩნია კვლავინდებურად განაცხადოს, რომ სსრ კავშირი მხარს უჭერს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, კვიპროსის ბერძენი და თურქი მოსახლეობის ურთიერთობის ყველა საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას გარედან ჩაურევლად.

რაც შეეხება უცხოეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზების განლაგებას კვიპროსის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და განუხრელად ილაშქრებს ამის წინააღმდეგ, რადგან უცხოეთის ჯარების ყოფნა კვიპროსის ტერიტორიაზე, ისევე როგორც უცხოეთის ბაზების განლაგება, ეწინააღმდეგება კვიპროსის სუვერენიტეტსა და მშვიდობის ინტერესებს.

ხელმძღვანელობს რა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, საბჭოთა მთავრობა მხარეებს მოუწოდებს თავშეკავებულად და გონივრულად მოიქცნენ, ხელი აიღონ ცდებზე, რომ კვიპროსელ ბერძენთა და კვიპროსელ თურქთა შორის წამოჭრილი პრობლემები გადაჭრან იარაღის დახმარებით.

კვიპროსში და კვიპროსის გარშემო დაძაბულობის აღმოფხვრის საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოწესრიგების, მთელი კვიპროსელი ხალხის სუვერენული უფლებების პატივისცემის, კვიპროსის შესახებ უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციათა ზუსტად დაცვის საფუძველზე, რომლებმაც მრავალგზის მოუწოდეს ყველა მხარეს თავშეკავებულად მოიქცნენ და მოერიდონ ისეთ მოქმედებას, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს ვითარების გაუარესება. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ კვიპროსის მთავრობასაც შეუძლია ბევრი რამ იღონოს, რათა არ დაუშვას ვითარების შემდგომი გართულება ამ კუნძულზე და კვიპროსის გადაქცევა შეიარაღებულ შეტაკებათა ასპარეზად.

საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ მხარეები გამოიჩენენ მაღალი პასუხისმგებლობისა და ხალხთა წინაშე თავიანთი მოვალეობის შეგნების გრძნობას, ვინაიდან კვიპროსის გარშემო კონფლიქტის გაფართოებასა და მით უმეტეს სამხედრო შეტაკებას კვიპროსის რაიონში შეიძლება მოჰყვეს შედეგები, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ძნელია.

# მეგობრობა მტკიცდება და ფართოვდება

### ხვალ საქართველოში იწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები

**ქართველი** ხალხი მეგობრული გულითადობით ეგებება ჩვენი მოძმე სოციალისტური ქვეყნის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის წარმომადგენლებს.

გერმანელ მეგობართა დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ჰორსტ ბრაში, არიან კულტურის ცნობილი მოღვაწეები, მუსიკოსები, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, ჟურნალისტები და სხვ. საერთოდ კი კულტურის დღეებში მონაწილეობისათვის საქართველოში ჩამოვა 400-ზე მეტი კაცი.

მრავალფეროვანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების პროგრამა. გარდა მუსიკალური ხელოვნებისა, რომელიც ყველაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი, საქართველოს მშრომელებს საშუალება ექნებათ სხვადასხვა გამოფენებზე, ლექციებზე, შეხვედრებზე და სხვ. ახლოს გაიცნონ სოციალისტური გერმანიის კულტურა, ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენმა გერმანელმა მეგობრებმა მოიპოვეს სოციალისტური კულტურის მშენებლობაში 1945 წლიდან დღემდე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საზეიმოდ გაიხსნება ხვალ, 25 ნოემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ამავე დღეს, საზეიმო სხდომის შემდეგ, აქვე საოპერო თეატრის სცენაზე კონცერტს გამართავს მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკალური კოლექტივი — დრეზდენის სიმფონიური ორკესტრი „შტატსკაპელე“, რომელიც შექმნილია ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1548 წელს.

გერმანიის მუსიკალურ კოლექტივებს დაეთმობა დედაქალაქის საუკეთესო საკონცერტო დარბაზები — ოპერისა და ბალეტის თეატრი, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი, რუსთაველის სახელობის თეატრის დიდი და მცირე, სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო თეატრის დარბაზები და სხვ.

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გამოვლენ „ულბრიხ-კვარტეტი“, რომლის შემადგენლობაში არიან რუდოლფ ულბრიხი, ვოლფგანგ ბიულოვი, იოახიმ ცინდლერი, კლემენს დილნერი, და „როტ-კვარტეტი“, რომლის შემადგენლობაში არიან ვილბალდ როტი, ზიგრიდ ბიუხელი, რუდოლფ დრესლერი და ერნსტ ლუდიგ ჰამერი. „როტ-კვარტეტს“ სხვა ნაწარმოებებთან ერთად პროგრამაში აქვს სულხან ცინცაძის „მეხუთე კვარტეტი“.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტები ექნება „შტატსკაპელეს“ კამერულ ორკესტრს და დრეზდენის სახელმწიფო კაპელის სასულე კვინტეტს (შემადგენლობა: იოჰანეს ვალტერი, ალფრედ ტოლკსდორფი, მანფრედ ვუნში, გუნტერ შაფრატი, ჰანს ვაპლერი). სასულე კვინტეტი გერმანიის ერთ-ერთი დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივია. იგი დაარსებულია ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

კონსერვატორიის დიდ დარბაზშივე გამართავს საორღანო მუსიკის კონცერტებს ვაიმარის სახელმწიფო მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი, ცნობილი ორღანისტი ერნესტ კიოლერი.

ვოკალური მუსიკის მოყვარულები მოუსმენენ ზიგრიდ კელს როგორც ცალკე სოლო-კონცერტზე, ისე ვერდის ოპერა „აიდაში“, სადაც შეასრულებს ამნერისის პარტიას. გვეწვევა აგრეთვე საესტრადო ორკესტრი გიუნტერ გოლაშის ხელმძღვანელობით.

უდავოდ საინტერესო იქნება ცნობილი კოლექტივის „ანსამბლ-66“-ის კონცერტები და ბერტოლდ ბრეხტის სიმღერების სახელგანთქმული შემსრულებლის ვერა იოლშლეგელთან გაცნობა, აგრეთვე ქ. ჰალეს მადრიგალისტების გამოსვლა.

გარდა კონცერტებისა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებში მოეწყობა გამოფენები. კერძოდ, დედაქალაქის მშრომელები გაიცნობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარის, ეროვნული პრემიის პირველი ლაურეატის, პროფესორ ლეა გრუნდიგის პერსონალურ გამოფენას. გამოფენებზე გავეცნობით აგრეთვე გერმანულ წიგნს, შუშას, საბავშვო სათამაშოებს და სხვ.

გერმანელი მეგობრები თბილისს გარდა ეწვევიან სოხუმს, ბათუმს, ქუთაისს, რუსთავს და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები, რაც პირველად ეწყობა საქართველოში, ცხადია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გერმანელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და კულტურული ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ გაფართოება-განმტკიცებაში.

კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა საქართველოში, ძვირფასო გერმანელო მეგობრებო! — ამ სიტყვებით ეგებებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სტუმრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.



**სურათზე:** უკრავს დრეზდენის „შტატსკაპელეს“ სიმფონიური ორკესტრი. სურათი გადაღებულია ზალცბურგის ფესტივალების დიდ დარბაზში.

## სსრ კავშირი და მალაიზია საელჩოებს გაცვლიან

**საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და მალაიზიის მთავრობამ, რომლებიც პრინციპულად 1967 წლის აპრილში შეთანხმდნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლის შესახებ და ცდილობენ კიდევაც განავითარონ ორი ქვეყნის ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების, ერთმანეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე, გადაწყვიტეს გაცვალონ დიპლომატიური მისიები საელჩოთა დონეზე.

ორივე მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ სსრ კავშირისა და მალაიზიის ურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

## პარტიული მუშაკის ცნობარი

**პოლიტიკური** ლიტერატურის გამომცემლობამ მოამზადა „პარტიული მუშაკის ცნობარი“. ეს უკვე მეშვიდე გამოცემაა.

ცნობარი შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და დადგენილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანონებს, ბრძანებულებებს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ დადგენილებას, რომლებიც მიღებულია 1966 წლის აპრილიდან 1967 წლის მარტამდე. დოკუმენტების ნაწილი პირველად ქვეყნდება. (საკდესი).

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

**22 ნოემბერს** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბერძნეთის მთავრობას გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის შემდეგი განცხადება ბერძენ დემოკრატთა დევნასთან დაკავშირებით:

„საბჭოთა მთავრობას დიდად აწუხებს ბერძენი დემოკრატების დევნა, რასაც მან უკვე მიაპყრო საბერძნეთის მთავრობის ყურადღება.

ამჟამად მთელი მსოფლიო მოწმეა ახალი მასობრივი დევნისა საბერძნეთში. ახლა ათენსა და სალონიკში მიმდინარეობს სასამართლო პროცესები ბერძენი დემოკრატებისა, რომელთა „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ხმა აღიმაღლეს თავიანთი ხალხის უფლებათა დასაცავად. ამ პროცესების ორგანიზატორები ცდილობენ ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ.

საბერძნეთის ხელისუფალთა ის მოქმედება, რომელიც სრულიად გაუმართლებელია ცივილიზებული სამყაროს თვალში, საბჭოთა ხალხის გულისწყრომას იწვევს. საბჭოთა საზოგადოებრიობას დიდად აწუხებს, რომ საბერძნეთში სჩადიან უკანონობასა და თვითნებობას, ფეხქვეშ თელავენ ჰუმანიზმის ელემენტარულ პრინციპებს, უხეშად არღვევენ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც დადასტურებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელსაც საბერძნეთიც აწერს ხელს.

საბჭოთა ადამიანები და, როგორც ჩვენ დარწმუნებული ვართ, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალები აღშფოთებით უარყოფენ იდეური მოწინააღმდეგეებისათვის ფიზიკურად ანგარიშის გასწორების მეთოდებს, რომლებსაც ახლა საბერძნეთში იყენებენ.

საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს ამ გრძნობებს და დაბეჯითებით მოუწოდებს საბერძნეთის მთავრობას გამოიჩინოს კეთილგონიერება და თავშეკავება. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ საბერძნეთის ხელისუფალნი არ დაუშვებენ რაიმე მოქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ბერძენ დემოკრატთა სიცოცხლეს.

სსრ კავშირის მთავრობა სრულიადაც არ აპირებს ჩაერიოს საბერძნეთის საშინაო საქმეებში. აკეთებს რა ამ განცხადებას, იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებებით. საბჭოთა კავშირი ამ ნაბიჯს დგამს როგორც საბერძნეთისა და ბერძენი ხალხის მეგობარი. იგი ესწრაფვის იმას, რომ არაფერი არ აყენებდეს ზიანს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას. იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს განცხადებას სწორად გაიგებს საბერძნეთის მთავრობა“.

## ბერძენ პატრიოტთა დასაცავად

**საბჭოთა** კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა მიიღო განცხადება, რომელშიც გულისწყრომით გმობს საბერძნეთის სამხედრო ხუნტის სამარცხვინო მოქმედებას, რომელიც სასტიკად უსწორდება ბერძენ პატრიოტებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულია გაზეთ „ავგის“ გამომცემელი ლ. კირკოსი, რომელსაც ბრალად ედება საბერძნეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობის პროპაგანდა. სიკვდილით დასჯა ემუქრება 31 პატრიოტს — მათ ბრალად სდებენ და ასამართლებენ იმის გამო, რომ ეკუთვნოდნენ დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტულ ფრონტს. პროგრესულმა ბერძენმა კომპოზიტორმა მ. თეოდორაკისმა საპატიმროში დიდი ხნის ყოფნისა და საშინელი წამების შედეგად მიიღო მძიმე ნერვული დაავადება. 40-ზე მეტ კაცს ბრალად ედება, რომ „მონაწილეობდნენ „შეთქმულებაში“ სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ. მზადდება საბერძნეთის ეროვნული გმირის მანოლის გლეზოსის პროცესი.

„საბჭოთა კავშირის მილიონობით ომის ვეტერანთა სახელით გადაჭრით მოვითხოვთ შეწყვიტონ საბერძნეთში პოლიტიკური ტერორი და დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა დაპატიმრებული დემოკრატი“, — ნათქვამია განცხადებაში.

(საკდესი).

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბიბლიოთეკო საქმის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება:

1. აბაზაძეს ეთერი ივანეს ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს.

2. აბესაძეს ეთერი ივლიანეს ასულს — ტყიბულის № 2 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეს.

3. აბრამიძეს ...

...

29. გუგუნავას ელენე ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს.

30. დარჩიაშვილს თამარ ნიკოლოზის ასულს — თბილისის კალინინის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეს.

31. დოლიძეს მარიამ დიმიტრის ასულს — გზატკეცილების, საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის ბიბლიოთეკის გამგეს.

32. ენდელაძეს ცუცა პავლეს ასულს — საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარს.

33. ვაშაკიძეს ტატიანა ერისტოს ასულს — სამტრედიის რაიონის ოქტომბრის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს.

34. ვაჩნაძეს ელენე ალექსანდრეს ასულს — რესპუბლიკური სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს.

...

58. მოწონელიძეს ჯულიეტა გრამიტონის ასულს — თბილისის ნ. ნაკაშიძის სახელობის 46-ე საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს.

59. მჟავანაძეს ნადია ივანეს ასულს — ლანჩხუთის რაიონის სუფსის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს.

60. მუმლაძეს ნინო არტემის ასულს — რუსთავის მეტალურგთა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს.

61. ნაჭყებიას გრიგოლ სტეფანეს-ძეს — თბილისის ს. შაუმიანის სახელობის მასობრივი ბიბლიოთეკის გამგეს.

62. ნიკოლაიშვილს თეოლინა ბართლომეს ასულს — თბილისის № 21 ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს.

63. ოსიპოვას ევგენია მიხეილის ასულს — სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგეს.

64. ოქროკვერცხის სოფიო პეტრეს ასულს — სოხუმის ბოტანიკური ბაღის ბიბლიოთეკის გამგეს.

...

89. ქორქიანს პოლისკა ივანეს ასულს — საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარს.

90. ღოღობერიძეს თამარ ვასილის ასულს — ქუთაისის № 6 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეს.

91. ყიფშიძეს მარიამ მიხეილის ...

92. შავგულიძეს გრიგოლ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს.

93. შანიძეს ელენე სამსონის ასულს — სამტრედიის რაიონული ბიბლიოთეკის გამგეს.

94. შუბითიძეს ეთერი ალექ...

...

119. ჯიბლაძეს მარგარიტა ბიქტორის ასულს — თეთის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგეს.

120. ჯიშკარიანს ნინო პლატონის ასულს — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 22 ნოემბერი.

# განვამტკიცოთ კომუნისტთა ინტერნაციონალური ერთიანობა

„პრავდა" 23 ნოემბერი

... ახლა მსოფლიოს რუკაზე 70-ზე მეტი ახალი სახელმწიფოა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევის შედეგად ინგრევა კოლონიალიზმის უკანასკნელი ბასტიონები.

განთავისუფლებულ ქვეყნების მიწა-წყალზე მიმდინარეობს თვისებრივად ახალი სოციალური პროცესები. ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა ის, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა ...

... 1960 წლის განცხადებაში ...

# მეციტრუსეთა გადაუდებელი საქმე

## სადღეისო თემატე

ნოემბერი ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფის ...

ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ მომავალი წლის უხ...

# რევოლუციის ჭეშმარიტი გმირი

## ალექსი (საშა) ალექსანდრეს-ძე გეგეჭკორის დაბადების 80 წლისთავი

[illegible]

ერთ-ერთი ასეთი საუკეთესო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ალექსი (საშა) ალექსანდრეს-ძე გეგეჭკორი. მას აქვს უშიშარი რევოლუციონერი-ბოლშევიკის მდიდარი ისტორია. მისი ბიოგრაფია ბოლშევიკის ცხოვრებისა და მუშაობის სახელოვანი ფურცლებია.

საშა გეგეჭკორმა მის მშობლიურ კომუნისტურ პარტიასთან ერთად განვლო ჯერ არალეგალური ბრძოლისა და მუშაობის, შემდეგ კი ძლევამოსილი რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მძიმე წლები. ამ პერიოდში მას წილად ხვდა ციხე, წვალება, გადასახლება და მრავალგვარი გაჭირვება, შემდეგ თავგანწირული, შეუპოვარი ბრძოლა და შრომა რევოლუციის მონაპოვრის განსამტკიცებლად. საშა გეგეჭკორი იყო რევოლუციის უერთგულესი ჯარისკაცი და დარაჯი, გმირულად გაბედული მუშათა კლასისა და მისი პარტიის საქმისათვის, ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე მყოფი, შემოქმედებითი ნიჭის, გამჭრიახი გონების, უშრეტი ენერგიის, ბოლშევიკური სიმტკიცის, დაუდგრომელი და რევოლუციური ალტყინებით სავსე ბუნების ადამიანი. მისი სახელი სისხლხორცეულად დაკავშირებულია ჩვენი დიადი წარსულის ბრწყინვალე ფურცლებთან და დღევანდელ დიდ გამარჯვებებთან.

საშა გეგეჭკორი დაიბადა 1887 წლის 10 (23) ნოემბერს სენაკის მაზრის სოფელ ნაოლალევში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მან განათლება მარტვილის გიმნაზიაში მიიღო. 1901 წელს წავიდა სახლიდან და მუშაობა დაიწყო ბათუმის როტშილდის ქარხანაში მუშად. ამ დროიდან მთელი მისი ცხოვრება და საქმიანობა დაკავშირებულია მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან. რევოლუციური ნათლობა მან მიიღო 1902 წელს, როცა მონაწილეობა მიიღო ბათუმის მუშათა ცნობილ დემონსტრაციაში. მალე იგი იძულებული ხდება დაემალოს მეფის ჟანდარმებს და სამუშაოდ ჯადადის ბაქოში, სადაც ეწყობა საქონლის სადგურში შავ მუშად.

1902 წლის ბოლოს საშა ბაქოში შედის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციაში. 1903 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებს ბაქო-საბუნჩის მუშათა დემონსტრაციაში, რომელიც პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. საშა აქ დაიჭრა, მაგრამ მაინც შეძლო დამალვოდა პოლიციას და მუშაობა დაიწყო ცოვიანოვის ქარხანაში, სადაც მუშათა წრის ორგანიზატორი და ტრანსპორტიორი გახდა. პოლიციის მიერ წრის დარბევის შემდეგ იგი იძულებული ხდება დატოვოს ბაქო და 1904 წელს ჩამოდის თბილისში. აქ იგი იწყებს მუშაობას სარაჯევის კონიაკის ქარხანაში მუშად და ხდება მუშათა წრის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში საშა თბილისის მუშათა კლასის მოწინავე რიგებშია. პარტიული ორგანიზაციის დავალებით იგი აწყობს და ხელმძღვანელობს მუშათა ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს. ამავე წლის სექ-

[illegible]

ში განაგრძობს პარტიულ მუშაობას.

1910 წელს საშა ისევ დააპატიმრეს და გადაასახლეს დონის როსტოვში. აქ ცხოვრების მძიმე პირობებმა იგი დააავადმყოფა, მაგრამ დაუდგრომელი ბუნების კაცი ვერ ისვენებს. ამ დროს როსტოვის ორგანიზაცია ჟანდარმერიის მიერ განადგურებული იყო. ა. გეგეჭკორი ა. კობახიძესთან, გ. ჩოდრიშვილთან, დ. ნასარიძესთან, ე. კვანტალიანთან და სხვა გადასახლებულებთან ერთად როსტოვის ორგანიზაციის აღსადგენად თითქმის თავიდან იწყებს მუშაობას. მაგრამ როსტოვის პოლიციას არ გამოეპარა საშას რევოლუციური მოღვაწეობა. პროვოკატორის დასმენით იგი დააპატიმრეს, ციხეში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ გადაასახლეს პოლტავაში. აქ იგი მალე ებმება არალეგალურ მუშაობაში. მას ირჩევენ რსდმპ პოლტავის კომიტეტის წევრად და ეწევა დიდ და ნაყოფიერ პარტიულ მუშაობას. მაგრამ მალე ისევ აპატიმრებენ.

1914 წლის 6 ნოემბერს ხარკოვის ოლქის სასამართლო პალატის გამსვლელმა სესიამ პოლტავაში ა. გეგეჭკორს მიუსაჯა წელიწადნახევარი პატიმრობა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ საშა გადასახლებულ იქნა ასტრახანის გუბერნიაში, სადაც მას მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. გადასახლებიდან იგი თბილისში დაბრუნდა.

ამ დროს თბილისში და საქართველოში ბოლშევიკები საბოლოოდ ეთიშებიან მენშევიკებს და იქმნება დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები. პარტიის დავალებით საშა მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში, სადაც სხვა ბოლშევიკებთან ერთად ქმნის ბოლშევიკურ ბიუროს, რომელიც შემდეგში ბოლშევიკების დასავლეთ საქართველოს კომიტეტად იქცა.

საშა გეგეჭკორი ენთუზიაზმით ებმება მუშაობაში. იგი რაზმავს დასავლეთ საქართველოს მშრომელებს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. საშას ხელმძღვანელობით 1918-1919 წლებში ჩატარებული რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდები იმდენად საგულისხმო და სახელოვანია, რომ ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

1918 წლის 20 თებერვალს დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკების კონფერენციამ ქუთაისში მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ და შექმნა ამისათვის შტაბი საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. კონფერენციის დადგენილების საფუძველზე გაიშალა მუშაობა. ადგილებზე დაიგზავნა ამხანაგები. თვით ა. გეგეჭკორი მიდის სამეგრელოში და სათავეში უდგება აჯანყების ორგანიზაციის საქმეს. მალე იგი დააპატიმრეს, მაგრამ ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის შემწეობით თავს აღწევს პატიმრობას.

1918 წლის თებერვალში შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა ლეჩხუმის მაზრაში, ხოლო შემდეგ სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. აჯანყებულთა საერთო რაოდენობა დასავლეთ საქართველოში თითქმის 11 ათას კაცს აღწევდა. ამ აჯანყებას სათავეში ედგა საშა გეგეჭკორი. აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკურმა მთავრობამ გაგზავნა დიდძალი ჯარი არტილერიითურთ. პარტიის დასავლეთ ამიერკავკასიის კომიტეტმა გაითვალისწინა მოწინააღმდეგის დიდი უპირატესობა, შემდგომი ბრძოლის წარმოება უაზრობად ჩათვალა და წინადადება მისცა ს. გეგეჭკორს დაეშალა თავისი რაზმები და მისი რაზმის ერთი ნაწილით თერგის ოლქზე გადასვლით წასულიყო დუშეთის აჯანყებულთა დასახმარებლად.

ს. გეგეჭკორმა პარტიის მითითებით ადგილებზე დასატოვებლად ჩამოაყალიბა „სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული შტაბი“ აკაკი ოჩიგავას



მეთაურობით, თვითონ კი თავისი სოციალისტური რაზმით, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა, ონის გავლით ვლადიკავკაზისაკენ გაეშურა. 1918 წლის 5 ივლისს გეგეჭკორის რაზმი სრული შემადგენლობით ჩავიდა ვლადიკავკაზში პარტიის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში. ვლადიკავკაზში ჩასვლისთანავე რაზმი გაგზავნილ იქნა დუშეთის აჯანყებულ გლეხთა დასახმარებლად. უთანასწორო ბრძოლაში რაზმს დიდი და მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა. მოკლულ იქნენ რაზმის საუკეთესო ხელმძღვანელები ა. ქუჩულორია, თ. ჩუბინიძე და მ. გეგეჭკორი. რაზმმა უკან დაიხია ვლადიკავკაზში და ახალი ძალებით შეივსო.

1919 წლის აგვისტოში ქართულმა სოციალისტურმა რაზმმა საშას მეთაურობით აქტიური მონაწილეობა მიიღო თერგის კონტრრევოლუციის მიერ ვლადიკავკაზში მოწყობილი აჯანყების ლიკვიდაციასა და საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაში. ს. გეგეჭკორი დაინიშნა ქალაქის რევოლუციური წესრიგის დაცვის კომისრად. კონტრრევოლუციის რკალის გარღვევისა და პიატიგორსკთან შეერთების მიზნით საშას რაზმს დაევალა გაელაშქრა კაზაკების სტანიცა არხონკის წინააღმდეგ, სადაც მოწინააღმდეგის მსხვილი ძალები იყო თავმოყრილი.

ამ მძიმე ბრძოლებში საშა გეგეჭკორი მძიმედ დაიჭრა, რამაც გამოიწვია შემდეგში მისი მარჯვენა ფეხის მოჭრა. საშა გეგეჭკორმა ამ ბრძოლებში გმირობის შესანიშნავი მაგალითი უჩვენა. მის პირად გაბედულებას და სიმამაცეს მიეწერება იმ რაიონში მტრის დამარცხება. იგი იყო სამოქალაქო ომის ჭეშმარიტი გმირი. ამიტომ 1920 წელს კავკასიისა და დონის კომუნისტური ორგანიზაციების სამხარეო თათბირზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ს. კიროვი ამბობდა: „ИЦАВДА РА САБЧОТА РЕСПУБЛИКАС...“ — „იცავდა რა საბჭოთა რესპუბლიკას, საშა გეგეჭკორმა ფეხი დაკარგა და მზად იყო სიცოცხლე შეეწირა მისთვის“.

დაჭრილი საშა ინგუშეთის მთიან სოფლებში დამალეს, ხოლო 1919 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა. აქ მენშევიკებმა დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში. მას დახვრეტა ემუქრებოდა, მაგრამ მენშევიკურ საქართველოსა და რსფს რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად სხვა პატიმრებთან ერთად განთავისუფლებულ იქნა, საქართველოში ცხოვრების უფლება კი არ მისცეს. იგი მიემგზავრება ისევ ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩასვლისთანავე ინიშნება კავკასიის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ და აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა-განმტკიცებაში.

1921 წლის თებერვალში საშა გეგეჭკორი აჯანყებული ქართველი ხალხის დასახმარებლად წამოსული სახელოვანი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს დარიალის ხეობის გზით შეტევით ბრძოლებში და შემოდის თბილისში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან საშა გეგეჭკორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში იწყება ახალი ხანა, შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისა და დიადი აღმშენებლობის ხანა. იგი იყო დიდ საპასუხისმგებლო პოსტებზე და აქტიურ ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში. პირველად საშა დაინიშნა თბილისის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წევრად, 1922-1924 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

„ყველგან, სადაც კი იმუშავა ს. გეგეჭკორმა, თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა. თავისი მდიდარი და შინაარსიანი ცხოვრება მან მთლიანად მოახმარა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის და რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებისათვის ბრძოლას, როგორც პროლეტარული რევოლუციის უშიშარმა და ერთგულმა ჯარისკაცმა, უბადლო ორგანიზატორმა, კრისტალურად სუფთა და უანგარო ბოლშევიკმა.

1928 წელს ორმოცდამეერთე წლის ასაკში, მისი შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში შეწყდა მისი სიცოცხლე. საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამი იყო: „საქართველოს სსრ მთავრობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძველი რევოლუციონერი ამხანაგის დაკარგვის გამო... მთელი ამიერკავკასიის მუშურგლეხურმა მასებმა ამხ. გეგეჭკორის სახით დაკარგეს უერთგულესი და უშიშარი რევოლუციონერი, რომელმაც ახალგაზრდობიდანვე მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა განმათავისუფლებელ ბრძოლას და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეს“.

დგამდა რა საბედისწერო და გაუმართლებელ ნაბიჯს ფეხის ტკივილით ძალზე შეწუხებული, თავის გამოსათხოვარ წერილში გულითადი მეგობრისა და ამხანაგის სერგო ორჯონიკიძისადმი წერდა: „უზომო სიყვარული და სალამი ჩემს ძვირფას სერგოს! მაპატიე, სერგო. დავიღალე, ვერ გავუძელი, ვკვდები, მაგრამ სრული იმედია, რომ ჩვენი პარტია ყველა დაბრკოლებებს გადალახავს და საქმეს ბოლომდე მიიყვანს!

ვკოცნი ზინას, დამიკოცნე ეთერი, გადაეცი ჩემი მხურვალე და გულითადი სალამი სოსოს!

გეთხოვები, ძვირფასო, და თან მიმაქვს შენი დიდი და დაუშრეტელი სიყვარული. საშა“.

საშა გეგეჭკორი წავიდა ჩვენგან რწმენით, რომ სახელოვანი კომუნისტური პარტია არ შედრკებოდა არავითარი დაბრკოლების წინაშე და ბოლომდე მიიტანდა იმ დროშას, რომლისთვისაც იბრძოდა. ბრძოლა მას მთელ მის სიცოცხლეში ასულდგმულებდა. ეს მგზნებარე ოპტიმიზმი გამართლდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა პირველებმა ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და ახლა წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. მადლიერი ხალხი მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით შეინახავს მშრომელთა ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, მტკიცე ლენინელის საშა გეგეჭკორის ნათელ ხსოვნას.

პროფესორი ი. მირცხულავა.

---

ხვალ საქართველოში იწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები

# გაცნობით სახელგანთქმულ კოლექტივებს







ხვალ იწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში. ჭეშმარიტად დიდია ის ინტერესი, რომელიც გამოწვეულია საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მუსიკალური კოლექტივების ჩამოსვლით ჩვენს რესპუბლიკაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ასე ფართოდ, ასეთი დიდი მასშტაბით თითქმის ჯერ არ ყოფილა ჩვენში ნაჩვენები უცხოეთის რომელიმე ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები, მით უმეტეს ისეთი დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე ქვეყნისა, როგორიც არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ მოუთმენლად ველით შეხვედრას ისეთ საყოველთაოდ სახელმოხვეჭილ მუსიკალურ კოლექტივებთან, როგორიც არის დრეზდენის სიმფონიური ორკესტრი, ულბრიხის კვარტეტი, დრეზდენის სახელმწიფო კაპელის სასულე კვინტეტი, მომღერალი ზიგრიდ კელი (მეცო-სოპრანო), ორღანოზე დამკვრელი იოჰან-ერნსტ კიოლერი და სხვები.

ოთხ საუკუნეზე მეტია, რაც დაარსდა დრეზდენის კაპელის სიმფონიური ორკესტრი, და ამ ხნის განმავლობაში მან თავისი მაღალი საშემსრულებლო კულტურით, ბრწყინვალე ოსტატობით დიდი სახელი და საქვეყნო აღიარება მოიპოვა. ამ შესანიშნავი ანსამბლის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო მუსიკის ისეთ განთქმულ სახელებთან, როგორიც არის ფ. შუბერტი, რ. შუმანი, ფ. ლისტი, ი. ბრამსი და სხვები, რომელთა მოღვაწეობამაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ამ ორკესტრის დიდებულ საშემსრულებლო ტრადიციებს. ამ ორკესტრს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ სახელგანთქმული მუსიკოსები, როგორიც იყვნენ კარლ ვებერი, რიხარდ ვაგნერი, ფრიც ბუში, კარლ ბიომი, ფრანც კონვიჩნი, ოტმარ სიუტნერი. სასიხარულოა, რომ ეს ტრადიციები დღემდე არ შელახულა, პირიქით, იგი მტკიცე საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მუსიკის გამოჩენილი ნიმუშების პროპაგანდის დარგში, რასაც ფართოდ ეწევა დრეზდენის სიმფონიური ორკესტრი.

ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ულბრიხის კვარტეტი, რომელიც ოთხი შესანიშნავი, გამოჩენილი მუსიკოსისაგან შედგება. ამ კვარტეტის ოსტატობა კარგად არის ცნობილი ევროპაში და მან თავისი არსებობის ათი წლის განმავლობაში ბრწყინვალე კამერული ანსამბლის სახელი დაიმკვიდრა. კვარტეტს ახასიათებს ნაწარმოებთა ლაკონიური, თანამედროვე ინტერპრეტაცია, იგი კლასიკოსებთან ერთად შესანიშნავად გადმოგვცემს ხინდემიტის, ბარტოკის, შოსტაკოვიჩისა და სხვათა თხზულებებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ანსამბლის შესრულებით ჩვენ მოვისმენთ ქართველი კომპოზიტორის სულხან ცინცაძის კვარტეტს.

ასევე დიდ ინტერესს გამოიწვევს უთუოდ დრეზდენის შტატსკაპელის სასულე კვინტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან წამყვანი მუსიკოსები — იოჰანეს ვალტერი (ფლეიტა), ალფრედ ტოლკსდორფი (ჰობოი), მანფრედ ვიუნშე (კლარნეტი), გიუნტერ შაფრატი (ვალტორნა), ჰანს ვაპლერი (ფაგოტი). ყველა მათგანი ვირტუოზულად ფლობს თავის საკრავს. ისინი კამერული მუსიკის შემსრულებელთა შესანიშნავ პლეადას მიეკუთვნებიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკოსთა მაღალ საშემსრულებლო ოსტატობასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოებაც, რომელსაც არც თუ ისე მცირე მნიშვნელობა აქვს ხელოვნების განვითარების საქმეში. ეს არის უაღრესად კვალიფიციური, მაღალი ესთეტიკური გემოვნების მქონე, ძალიან მომთხოვნი მსმენელი. მისი მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი შემსრულებლებთან საკონცერტო დარბაზში, ოპერის თეატრსა და სხვაგან ჭეშმარიტად აღტაცებას იწვევს და რა გასაკვირია, რომ ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი ერთმანეთზე ურთიერთ ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს და ამით მუსიკალური ხელოვნების ზეაღმავლობას იწვევს.

ვისაც ჰქონია ბედნიერება ყოფილიყო სტუმრად გერმანელ შემსრულებლებთან, იგი უთუოდ დარწმუნდებოდა ჩემი სიტყვების სიმართლეში.



მოხარული, ვარ რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. [illegible]ტოკის ერთ-[illegible]მა შესანიშნავ-[illegible]ამერულმა ან-[illegible]ლმა, — ნონეტმა წარმატებით შეასრულა ჩემი „კამერული სიმფონია ცხრა ინსტრუმენტისათვის“ საერთაშორისო ფესტივალზე ბერლინში, შემდეგ დრეზდენში, გიუსტროვში, ბაუცენაში, შტეტინსა და სხვაგან, რომ მე ამ კოლექტივთან და მის ხელმძღვანელ ვილი შრაიბერთან თბილი და მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს.

დიდად სასიხარულოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ქართველმა ნიჭიერმა მუსიკისმცოდნემ ვაჟა გვახარიამ ქალაქ ჰალეში ჰენდელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე მისი სახელობის საერთაშორისო პრემია მიიღო.

ვუსურვოთ დიდი შემოქმედებითი წარმატება ჩვენს ძვირფას სტუმრებს, მეგობრებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან!


რევაზ გაბიჩვაძე,

პროფესორი, სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი.


სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — დრეზდენის „შტატსკაპელეს“ სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი მარტინ ტურნოვსკი; შუმანის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (II პრემია), ცნობილი გერმანელი მომღერალი ზიგრიდ კელი; ვაიმარის სახელმწიფო უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის დოცენტი, ორგანისტი იოჰან-ერნსტ კიოლერი. ქვემოთ — დრეზდენის „შტატსკაპელეს“ სასულე კვინტეტი.

---

## სასარგებლო შეხვედრა

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). პარიზში მუშაობა დაამთავრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კოლოკვიუმმა მრეწველობის ავტომატიზაციის საკითხებზე.

ორი დღის მუშაობის მანძილზე ექსპერტებმა განიხილეს ათზე მეტი სამეცნიერო მოხსენება და ინფორმაცია.

სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ნ. ლეონტიევი თავის მოხსენებაში შეეხო ადამიანზე ავტომატიზაციის ზეგავლენის სხვადასხვა ასპექტს.

გრენობლის სოციალური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი დესტან დე ბერნი შეეხო ავტომატიზაციის სოციალური შედეგების პრობლემას.

საბჭოთა ჩარხმშენებლობის ავტომატიზაციაზე ილაპარაკა მოსკოვის ჩარხსაშენებელი ქარხნის „წითელი პროლეტარის“ დირექტორმა გ. ა. სურგუჩოვმა.

დიდი ინტერესით მოისმინეს კოლოკვიუმის მონაწილეებმა გრენობლის უნივერსიტეტის პროფესორის პიერის მოხსენება ავტომატიზაციის დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ორგანიზაციის შესახებ, ჩარხმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის დირექტორის ლომბარის მოხსენება ჩარხების რიცხობრივი საპროგრამო მართვის შესახებ, საბჭოთა პროფესორის ა. ვ. ნეტუშილის მოხსენება თვითაწყობისა და თვითსწავლების ელემენტებიანი ავტომატური მართვის სისტემების შესახებ და სხვ.

საბჭოთა და ფრანგ მეცნიერთა ეს პირველი შეხვედრა ავტომატიზაციისა და მისი მომიჯნავე დარგების საკითხებზე მეტად სასარგებლო იყო, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილემ კ. მ. გლაზუნოვმა. კოლოკვიუმზე განხილულმა ყველა პრობლემამ გამოიწვია როგორც საბჭოთა, ისე ფრანგ მეცნიერთა ინტერესი.

## დასავლეთ ბენგალიის შტატის ამბები

დელი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბენგალიის შტატის გუბერნატორის დ. ვირას ბრძანებულებით გუშინ დაითხოვეს გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის — კოალიციის მთავრობა, რომელიც 14 პარტიისაგან შედგებოდა და რომელშიც შედიოდა ინდოეთის კომუნისტური პარტია და სხვა მემარცხენე ორგანიზაციები.

ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაადებინეს ფიცი ახალ მთავარ მინისტრს პ. ჩ. გხოშს — ლიდერს ეგრეთ წოდებული „პროგრესული დემოკრატიული ფრონტისა“, რომელიც სასწრაფოდ შექმნა ზომიერი მიმართულების გაერთიანებამ.

ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილებამ გაერთიანებული ფრონტის მთავრობის დათხოვნის შესახებ მთელი შტატის გულისწყრომა გამოიწვია. გაერთიანებულ ფრონტში შემავალი პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერებმა მოსახლეობას მოუწოდეს არ ცნონ ამ გადაწყვეტილების კანონიერება და 23 ნოემბერს პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადონ შტატში.

## უნდობლობის რეზოლუცია

დელი, 22 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატში დეპუტატმა გაერთიანებული სოციალისტური პარტიისაგან მადჰუ ლიმაიემ შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც უნდობლობას უცხადებს ინდირა განდის მთავრობას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა პარლამენტის 50-ზე მეტმა წევრმა, იგი საპარლამენტო პროცედურის შესაბამისად შეტანილია სესიის დღის წესრიგში და კენჭს უყრიან. უნდობლობის შესახებ რეზოლუციის შეტანას ასაბუთებენ ცენტრალური მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილებებით ჰარიანის შტატში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისა და დასავლეთ ბენგალიაში გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის მთავრობის დაშლის შესახებ, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამ შტატებში.

## უ ტანის მიმართვა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გუშინ მიმართა კვიპროსის პრეზიდენტს, აგრეთვე საბერძნეთისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრებს და დაბეჯითებით მოუწოდა მაქსიმალური თავშეკავება გამოიჩინონ კვიპროსში შექმნილ სიტუაციაში და ყოველი ღონე იხმარონ დაძაბულობის შენელებისათვის. უ ტანმა განაცხადა, რომ სპეციალურ წარმომადგენელს გზავნის ამ სახელმწიფოთა დედაქალაქებში, რათა ხელი შეუწყოს სამი მხარის მთავრობებს კუნძულზე დაძაბულობის შენელებაში.

## მდგომარეობა სუეცის არხში

კაირო, 23 ნოემბერი. (საკდესი). სუეცის არხი სანაოსნოდ შეიძლება გაიხსნას ისრაელის ჯარების გაყვანიდან სამი თვის შემდეგ, განაცხადა სუეცის არხის ადმინისტრაციის გამგეობის თავმჯდომარემ აჰმედ მაშჰურმა.

## კითხვები უპასუხოდ რჩება

ვაშინგტონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გუშინ ოთხი წელი შესრულდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის მოკვლის დღიდან, ამერიკის პრესაში დაიბეჭდა ბევრი მასალა, რომლებშიც საეჭვოდ არის მიჩნეული უორენის კომისიის დასკვნები, რომელიც აწარმოებდა „საუკუნის დანაშაულის“ გამოძიებას.

ჟურნალმა „სატერდეი ივნინგ პოსტმა“ გამოაქვეყნა ნაწყვეტები პენსილვანიელი პროფესორის ჯ. ტომპსონის წიგნიდან „ექვსი წამი დალასში“. წიგნში ხაზგასმულია, რომ კენედის მკვლელობაში მონაწილეობდა, სულ ცოტა, სამი კაცი, რომლებმაც, პროფესორის აზრით, ოთხჯერ ისროლეს.

ფაქტები, რომლებიც ტომპსონს მოჰყავს, წერს ჟურნალი, იმდენად დამაჯერებელია, რომ მოითხოვს ახალ გამოძიებას. ამერიკელ ხალხს სურს იცოდეს სიმართლე ამ დანაშაულის შესახებ, მოითხოვს მკვლელთა დასჯას.

ჟურნალი ყურადღებას უთმობს იმას, რომ ახალი ორლეანის საოლქო პროკურორს ჯ. ჰარისონს, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებდა გამოძიებას, არავითარ დახმარებას არ უწევენ ფედერალური ხელისუფალნი.

ვაშინგტონის გაზეთმა „იგზემინერმა“ მთელი პირველი გვერდის სიგანეზე დაბეჭდა სათაური: „ათი კითხვა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შესახებ, რომლებიც უპასუხოდ რჩება“.

## უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ განაახლა სამეში მდგომარეობის განხილვა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა იმის შედეგად, რომ ისრაელი ჯიუტად უარს ამბობს გაიყვანოს თავისი ჯარები არაბთა ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

უშიშროების საბჭოს სხდომის წინ გაიმართა საბჭოს წევრთა კონსულტაციები, რომელთა შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას მხოლოდ ინგლისის რეზოლუციის პროექტს უყარონ კენჭი.

შემდეგ საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა ინგლისის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს „ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანას ამასწინანდელი კონფლიქტის დროს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ყველა პრეტენზიისა თუ საომარი მდგომარეობის შეწყვეტას და მოცემულ რაიონში თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პატივისცემასა და ცნობას და მათს უფლებას იცხოვრონ მშვიდობიანად უსაფრთხო და დადგენილ საზღვრებში“. რეზოლუცია ითვალისწინებს აგრეთვე მოცემულ რაიონში საერთაშორისო წყალსავალ გზებზე ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფას და ლტოლვილთა პრობლემის სამართლიან მოწესრიგებას. რეზოლუცია შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი მიმართვას, რომ დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში, რომელიც „დაამყარებს კონტაქტებს“ დაინტერესებულ სახელმწიფოებთან იმ მიზნით, რომ „ხელი შეუწყოს მშვიდობიანი და ყველასათვის მისაღები მოწესრიგების მიღწევას“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელიც გამოვიდა კენჭის ყრის შემდეგ, აღნიშნა, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მოთხოვნა, რასაც რეზოლუცია შეიცავს, პირველი აუცილებელი პრინციპია ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები არაბული სახელმწიფოების ყველა ტერიტორიიდან, რომლებიც მან დაიპყრო 1967 წლის 5 ივნისის თავდასხმის შედეგად. რეზოლუციის დებულებანი, აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ცხადყოფენ, რომ ისრაელის ჯარები არ უნდა დარჩნენ ომის შედეგად დაპყრობილი არაბთა ტერიტორიების რომელიმე ნაწილში.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა, ის, რომ დაუყოვნებლივ შესრულდეს მიღებული გადაწყვეტილებანი და, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველვყოთ ისრაელის ჯარების გაყვანა ყველა ტერიტორიიდან, რომლებიც მათ დაიკავეს აგრესიის შედეგად. ყველა იმ სახელმწიფოს თანამშრომლობით, რომლებმაც ხმა მისცეს უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებას, ეს ამოცანა შეიძლება უმოკლეს ვადაში შესრულდეს ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის ინტერესებისათვის, ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

## ზანგთა მღელვარება ჩიკაგოში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ჩიკაგოს ზანგთა უბნებში მღელვარებაა. რამდენიმე ასეული პოლიციელი პატრულობს დღეს აქ რაიონების ქუჩებს.

გუშინ საღამოს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში ზანგთა გეტოებში გაჩაღებული შეტაკებები მოხდა პოლიციელებსა და ზანგ ახალგაზრდობას შორის. მთელ რიგ ადგილებში სროლა ატყდა. პირველი ცნობებით, დაჭრილია 12 კაცი, დაპატიმრებულია 220.

ზანგი ახალგაზრდობის გამოსვლის საბაბი გახდა „ენგლვუდის“ საშუალო სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, მეორე სკოლიდან „გადაეყვანა“ ზანგი მასწავლებელი იმის გამო, რომ იგი თავისუფალ დროს აცნობდა მოსწავლეებს ამერიკელ ზანგთა ისტორიას. ასობით აღშფოთებული ზანგი ჭაბუკი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, სადაც მათ პოლიცია დახვდა. ზანგებმა ბოთლები და ქვა დაუშინეს პოლიციელებს. პოლიციის დიდმა ძალებმა ძლივს აღადგინეს „წესრიგი“.

ამასობაში ხელისუფალნი, ემზადებიან ზანგთა გულისწყრომის ახალი შესაძლო გამოვლინებისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ბიჩერი დღეს იუწყება, რომ მთავრობას განზრახული აქვს უფრო ფართოდ გამოიყენოს არმიის რეგულარული ნაწილები ზანგების „ამბოხებათა“ ჩასაქრობად. როგორც ამავე გაზეთის მეორე ვაშინგტონელი კორესპონდენტი შიენი იუწყება, თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ პრეზიდენტ ჯონსონის თხოვნით განკარგულება გასცა, რომ სამხედრო ხელისუფალნი არ უშლიდნენ ხელს იმ სამხედრო მოსამსახურეთა სათადარიგოდ განთავისუფლებას, რომლებიც მოისურვებენ პოლიციაში სამსახურს. ამ ღონისძიების მიზანია პოლიციის ძალების განმტკიცება დიდ ქალაქებში.

## პარლამენტმა ხმა მისცა...

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). ორი დღის კამათის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა წუხელ ხმა მისცა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებას განახორციელოს გირვანქა სტერლინგის დევალვაცია. თემთა პალატაში კენჭის ყრის დროს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 335 დეპუტატმა. 258 დეპუტატმა ხმა მისცა წინააღმდეგ.

## დ. ჰილის სიტყვა თემთა პალატაში

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრმა დ. ჰილიმ, რომელმაც თემთა პალატაში წარმოთქვა სიტყვა გირვანქა სტერლინგის დევალვაციის საკითხზე გამართული კამათის დროს, თქვა, რომ სამხედრო ხარჯების გათვალისწინებული შემცირება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგით ვერ დააჩქარებს საზღვარგარეთ განლაგებული ინგლისის ჯარების გამოყვანას. მთავრობა მიზნად ისახავს, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, მიაღწიოს ეკონომიას ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს „დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ვალდებულებებს მის მოკავშირეთა წინაშე, ან შეიარაღებული ძალების სტრუქტურას“.

## პრეზიდენტის წარმომადგენელი ანკარას გაფრინდა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე საირუს ვენსი დანიშნა თავის სპეციალურ წარმომადგენლად კვიპროსის საკითხზე თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებთან კონსულტაციებისათვის. ვენსი გუშინ ნიუ-იორკიდან ანკარას გაფრინდა.

# საერთაშორისო ცხოვრება





# სოფლის მეურნეობის მეცნიერების სასახლე გაიხსნა

შესანიშნავი საჩუქარი მიიღო მიმდინარე საიუბილეო წელს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა. თბილისის მახლობლად, საქართველოს სამხედრო გზასთან აღმართულან ნათელი კორპუსები, რომლებიც დააპროექტეს არქიტექტორებმა გ. მესხიშვილმა და გ. გაბაშვილმა. ამ კორპუსებში განლაგდა ხუთი ფაკულტეტი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების სასახლე გაიხსნა 22 ნოემბერს. საზეიმო ცერემონიაზე იყვნენ ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ბ. გიგიბერია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ი. შევარდნაძე. მოწვეულთა შორის იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ხოხლოვი. კოლეგებთან სტუმრად ჩამოვიდნენ მოსკოვის, ბაქოს, ერევნის, კრასნოდარის მხარის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწენი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა გადაჭრა ლენტი, რომელიც შემოხვეული ჰქონდა მთავარი შესასვლელის მარმარილოს სვეტებს. დაიწყო ინსტიტუტის დათვალიერება.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. სარიშვილმა სტუმრებს უჩვენა დიდი აუდიტორიები, სასწავლებლის შესანიშნავად აღჭურვილი ლაბორატორიები. სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა განკარგულებაშია მდიდარი ბიბლიოთეკა. მასში შედის სტუდენტთა 600-ადგილიანი სამკითხველო დარბაზი, პერიოდიკის დიდი სამკითხველო დარბაზი, დარბაზი პროფესორ-მასწავლებლებისათვის. წიგნსაცავი, რომელიც 1 მილიონი ტომისთვისაა გათვალისწინებული, აღჭურვილია ჰაერის კონდიცირების დანადგარით.

ახალი კომპლექსის სასწავლო კორპუსები გაანგარიშებულია 8 ათასი სტუდენტისათვის.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მდებარეობს დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ცენტრში. ვენახებში, ბოსტნებში, ბაღჩებში, ბაღებში, დეკორაციულ პარკებში, რომლებსაც 800 ჰექტარზე მეტი უკავიათ, სტუდენტები მუშაობენ. ინსტიტუტის განკარგულებაშია კიდევ ერთი სასწავლო-საცდელი მეურნეობა მუხრანში.

დენდროლოგიისა და ნიადაგის მუზეუმების დათვალიერების შემდეგ სტუმარ-მასპინძელნი გაემართნენ სააქტო დარბაზში, სადაც მოეწყო ახალი სასწავლო კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა ზ. გელდიაშვილმა. მან გულთბილად მიულოცა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს ახალმოსახლეობა.

მოხსენება „უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე" წაიკითხა ი. სარიშვილმა.

იუბილარსა და ახალმოსახლეს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარემ ვ. სიროვატჩენკომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მ. საბაშვილმა, ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აკადემიკოსმა ნ. მაისურიანმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ, აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ნ. საფაროვმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფესორმა ს. ჯორბენაძემ, სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა ვ. გრიგორიანმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის მმართველმა ზ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა, ბუქარესტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორმა კონსტანტინესკუმ, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორმა ვ. მამათელაშვილმა, სოფიის მეტყევეობის ინსტიტუტის დოცენტმა ბ. კიტინმა და სხვებმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი ადრესი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი.

(საქინფორმი).

• • •

სურათებზე: მარცხნივ — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალი შენობა; მარჯვნივ — ინსტიტუტის ახალი შენობის ვესტიბიული.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ჩვენს არე-მარეში

## შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად

აბაშა. (საკ. კორ.). როგორც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, ისე სოფელ სუჯუნიდან სამამულო ომში გმირულად იბრძოდა ხუთასზე მეტი ვაჟკაცი. მტერზე გამარჯვების შემდეგ მშობლიურ კერას 300-ზე მეტი მხედარი არ დაბრუნებია, მათ სამუდამო სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე.

შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში აღიმართა დიდების სტენდი. მიტინგი გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქს. ჩაგანავამ. მოხსენებით გამოვიდა საშუალო სკოლის დირექტორი ო. კილასონია. სოფლის მოსახლეობამ და პიონერებმა სტენდი შეამკეს ცოცხალი ყვავილებით.

## საყვავილე მეურნეობა

ფოთი. (საკ. კორ.). ქალაქ ფოთში, ნაჭაობარზე 35 წლის წინათ გაშენდა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. იგი რენტაბელურია და დიდ შემოსავალს იძლევა. ამ დღეებში კიდევ ერთი საბჭოთა მეურნეობა შეემატა ქალაქს — შეიქმნა საყვავილე საბჭოთა მეურნეობა. აქ მოეწყობა დახურული გრუნტის ფარდულები, სადაც წლის ყოველ დროში იწარმოებს ყვავილების დათესვა-გამოყვანა. ნავარაუდევია 50-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ყვავილების გამოყვანა.

მეურნეობა მრავალფეროვანი ყვავილების ნერგებით მოამარაგებს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკას, არამედ მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, მინსკს და სხვა დიდ ქალაქებს. ყვავილების ტრანსპორტირება იწარმოებს თვითმფრინავებით.

## დიპლომი დაიმსახურა

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც სერგოს მშობლიურ სოფელ ღორეშაშია, ჩაბმული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო დათვალიერებაში. როგორც ცნობილი გახდა, მუზეუმმა გაიმარჯვა დათვალიერებაში. ამიტომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით ს. ორჯონიკიძის სახელმწიფო მუზეუმი დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით.

# მ. ეზიაშვილი



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი მიხეილ [illegible] ეზიაშვილი.

მ. ეზიაშვილი დაიბადა 1895 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში, გლეხის ოჯახში. სოფლადვე მიიღო დაწყებითი განათლება. შრომით საქმიანობაში ადრე ჩაება. მუშაობდა რკინიგზის ნახევნის სალიანდაგო დისტანციაზე მჭედლის დამხმარედ, მუშად, გზის შემომვლელად, დარაჯად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მ. ეზიაშვილს თბილისში მოუსწრო. 1918 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ერთი წლის შემდეგ მენშევიკური მთავრობა აპატიმრებს არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. ეზიაშვილს ირჩევენ პარტიის სურების რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, აქტიურად მონაწილეობს მენშევიკური ბანდების განადგურებაში.

1922 წელს მ. ეზიაშვილმა თბილისში დაამთავრა მუშფაკი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სწავლის განსაგრძობად გაემგზავრა მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში. აქვე ასპირანტურაშიც დატოვეს, რომლის დამთავრების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და 1939 წლამდე მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1939 წელს იწვევენ რკინიგზის ტრანსპორტის ამიერკავკასიის საინჟინრო ინსტიტუტში ლიანდაგისა და სალიანდაგო მეურნეობის კათედრაზე სამუშაოდ.

მ. ეზიაშვილმა 1941 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1942 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე მ. ეზიაშვილი უშურველად ემსახურებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული შრომა რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების საკითხებზე.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა მ. ეზიაშვილის პარტიული და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და რკინიგზელის საპატიო ნიშნით.

საუკეთესო სპეციალისტის, თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანის მ. ეზიაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და აღზრდილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## საიუბილეო გამოცემა




## „საბჭოთა სამართალი" № 6

გამოვიდა ორთვიური ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მორიგი, მეექვსე ნომერი (ნოემბერ-დეკემბერი).

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების უმეტესი ნაწილი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი. ჟურნალში გამოქვეყნებულია: მოწინავე — სახელმწიფო მმართველობის ლენინური პრინციპების ზეიმი; გ. ინწკირველი — საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე; ვ. ჭანია — საბჭოთა დემოკრატიის საწყისებთან; ხ. როგავა — სოციალისტური კანონიერების ლენინური საფუძვლები; ა. შუშანაშვილი — ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა სასამართლოს შექმნა; ბ. ფარვიზფური — ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა ირანის სუვერენიტეტის აღორძინებისათვის; ვ. შანიძე — სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განვითარება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. აქვეა დაბეჭდილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ; საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან.

განყოფილებაში „იუსტიციის სახალხო კომისრები" გამოქვეყნებულია წერილები: გ. თ. სტურუა, ს. ი. ქავთარაძე, ხოლო განყოფილებაში „მოწინავეთა პორტრეტები" დაბეჭდილია მ. ვაჟელიშვილის წერილი — გულის კარნახით.

# საქართველო „ფრაიე ველტის" ფურცლებზე

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ესტუმრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტები, ჟურნალ „ფრაიე ველტის" რედაქციის პასუხისმგებელი თანამშრომლები ჰანს ფრონი და ჰაინც კრიუგერი. სტუმრები გაეცნენ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, შავი ზღვისპირეთის ჩაის ხავერდოვან პლანტაციებსა და ხევსურეთის ცადაზიდულ ქიუხებს. გერმანელმა ჟურნალისტებმა თავიანთი თვალით ნახეს ის დიდი გარდაქმნები, რაც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში. მეგობრული გულწრფელობით შეჰხაროდნენ ისინი ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს", ახარებდათ სამგორის ველზე ხევსური კოლმეურნის აყვავებული ეზო-ყურეს ხილვა. მოსწონდათ ქართველი კაცის ნიჭი დაზგასთან, მისი უნარი ვენახში, გამძლეობა იალაღებზე, მეცნიერთა მიღწევები.

ბლოკნოტები და ფოტოაპარატები გულუხვად დაიტვირთა, რომ ელბის ნაპირამდე ჩაეტანათ კავკასიონის კალთებზე მიღებული შთაბეჭდილებები. როგორც შემდეგ იწერებოდნენ, მათ მზად აქვთ წერილების მთელი სერია.

და აი, „ფრაიე ველტის" № 87-ში გამოჩნდა ამ ციკლის პირველი სტატია; იგი ეძღვნება ყვავილების მცხეთელ ხელოვანს. „მამულაშვილის ნაკვეთი პატარა ედემია, რომლის კარი ღიაა ყველასათვის... ქართველი ხალხი პატივს სცემს და აფასებს სილამაზეს, და შემთხვევითი როდია, რომ 94 წლის მებაღე თავის სტუმრებს ყვავილებთან ერთად რჩევასაც ატანს — თუ გსურთ ბედნიერება მთელ სიცოცხლეში, ბაღი გაიშენე".

ამავე ჟურნალის № 88 ნომერში ორი გვერდი ეთმობა თბილისს. იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება, ჟურნალი აქვეყნებს ამ განყოფილების პრეზიდიუმის წევრთა ფოტოსურათებს, აგრეთვე ქალაქის წარსულისა და აწმყოს ამსახველ ხედებს. გორგასალის მონუმენტს ენაცვლება თბილისის უნივერსიტეტის პროექტის მაკეტი, ფილარმონიის გრანდიოზულ შენობას გურამიშვილის ძეგლი. მოყვანილია ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი მრავალი ციფრი და ფაქტი... ყოველივე ამაში შორეული მეგობრის გულწრფელი დამოკიდებულება და სიხარული იგრძნობა. ჟურნალი აცხადებს, რომ ნოემბერში კავკასიონის მწვერვალების ძირას მეგობრობის კვირეული გაიმართება. დაე ასეთმა ღონისძიებამ კიდევ უფრო დაგვაახლოოს!

გ. გოგოძური.

# შეხვედრები გერმანელ მოჭიდავეებთან

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მოჭიდავეთა შეხვედრები ძიუდოში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობა მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებს საქართველოში. ყოველ სახეობაში გამოვიდა ხუთი წყვილი.

შეჯიბრება ძიუდოისტებმა გახსნეს. მატჩის ანგარიშია 2,5:2,5.

თავისუფალ და კლასიკურ მოჭიდავეთა შეხვედრები მოიგეს საქართველოს სპორტსმენებმა თანაბარი ანგარიშით 5:0. ჩვენს გუნდს თავისუფალ ჭიდაობაში წარმატება მოუტანეს—ტ. ალიბეგაშვილმა, ხ. ქარხაულიძემ, ნ. ხოხაშვილმა, თ. ასლამაზიშვილმა და ა. ცხოვრებოვმა; კლასიკური მოჭიდავეებიდან გაიმარჯვეს — ა. ხარაბაძემ, ვ. კაკაავამ, დ. გვანცელაძემ, ვ. ხანდოლიშვილმა და თ. მაჭავარიანმა.

ჯ. კოზახიძე.

## კიევსა და ოდესაში

გუშინ კიევსა და ოდესაში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

კიევში თამაშობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი კიევის „დინამო" და ერევნის „არარატი". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ „ჩერნომორეცი" და ცსკა. გაიმარჯვა ცსკა-მ 1:0.

## მატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებსა და ქუთაისის „ტორპედოს" შორის. გაიმარჯვა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 2:1. გოლების ავტორები იყვნენ — ანტონოვი (პენალტით), კარაშილოვი და ასიტაშვილი.

## უცხოეთის სტადიონებზე

ბრძოლდება ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება ფეხბურთში. მორიგი მეოთხედფინალური მატჩი შედგა ქალაქ დიერში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და იტალიის ცნობილი საკლუბო გუნდები „ვაშაში" და „მილანო". მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

სოფიაში გაიმართა ოლიმპიური შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და თურქეთის ნაკრები გუნდები. მათი პირველი მატჩი თურქეთში დამთავრდა ფრედ — 0:0. ამჯერად ბულგარელთა უპირატესობა აშკარა იყო და წარმატებაც მათ ხვდათ ანგარიშით 3:0.

მსოფლიოს ჩემპიონმა ინგლისის ნაკრებმა ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში „უემბლის" სტადიონზე დაამარცხა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი 2:0.

გლაზგოში შოტლანდიის ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის მატჩში მოუგეს უელსის ნაკრებს 3:2.

## კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი

დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. აქ მეოთხედფინალის საგზურისათვის იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის, ირლანდიისა და თურქეთის ნაკრები გუნდები.

უკანასკნელი მატჩი შედგა პრაღაში ჩეხოსლოვაკიისა და ირლანდიის გუნდებს შორის. ჩეხოსლოვაკიელებს მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსები ჰქონდათ. მოგების შემთხვევაში ისინი ერთი ქულით გაუსწრებდნენ მთავარ მეტოქეს — ესპანეთის გუნდს და ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ. მაგრამ მოხდა პირიქით, ჩეხოსლოვაკიელებმა საკუთარ მოედანზე დამარცხება განიცადეს აუტსაიდერთან — ირლანდიის გუნდთან 1:2 და მეოთხედფინალში ვერ მოხვდნენ.

ამრიგად, პირველი ჯგუფიდან მეოთხედფინალში გავიდა ესპანეთის ნაკრები, რომელმაც 12-დან 8 ქულა შეაგროვა ბურთების საერთო შეფარდებით 6:2. ჩეხოსლოვაკიელებმა 7 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს.

## სპორტული ქრონიკა

△ აქამდე რეკორდულად ითვლებოდა ტოკიოს ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდა 94 ქვეყანა. მაგრამ უკვე ახლავე ცხადი ხდება, რომ ეს რეკორდი მოიხსნება. მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობის დაწყებამდე 11 თვით ადრე შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 104 ქვეყანამ.

△ ბუქარესტში გამართულ მეგობრული არმიების რაპირისტთა ტურნირში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა დაამარცხა რუმინელი რაპირისტები ანგარიშით 9.4 და პირველი ადგილი დაიკავა.

△ მინსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლინებელი მატჩი რუსულ შაშში მოსკოველ ლ. აგაფონოვასა და რიგელ ი. ცინეს შორის. ოქროს მედალი მოიპოვა ლ. აგაფონოვამ.

# ქართველი სტუდენტი — კონკურსის ლაურეატი



ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეც-კრალოვეში დამთავრდა კომპოზიტორ ბედრჟიხ სმეტანას სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსი.

ჩეხი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე, პრაღის მუსიკალური სკოლის დამაარსებელი, პედაგოგი, კრიტიკოსი. აი ბედრჟიხ სმეტანას მოკლე დახასიათება, რომლის შემდეგაც ნათელი გახდება, თუ რატომ არის ჩეხოსლოვაკიაში მისი სახელი ეროვნულ გმირთა სიმაღლეზე.

მთელი ჩეხოსლოვაკიის მუსიკალური საზოგადოებრიობა ინტერესით ადევნებდა თვალს კონკურსს, რომლის ჟიურის წევრებად მოწვეულნი იყვნენ გამოჩენილი მუსიკათმცოდნენი, კომპოზიტორები, პიანისტები. თავმჯდომარეობდა კომპოზიტორ სმეტანას შემოქმედების უბადლო მცოდნე, პრაღის კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი ძ. ჰოლცკნეხტი.

კონკურსი სამი ტურისაგან შედგებოდა. მესამე ანუ დასკვნითი ტურის პროგრამას თვით ჟიური არჩევდა, რაც თავისთავად ართულებდა კონკურსანტის მდგომარეობას.

კონკურსზე შესანიშნავად გამოვიდა თბილისის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი მარინე ხვიტია, რომელმაც მეორე პრემია მოიპოვა. იგი ერთხმად აღიარეს სმეტანას ნაწარმოებთა ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად.

აი რას წერდა ჩეხური გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე": „მარინე ხვიტია მაყურებელს იპყრობს ცეცხლოვანი ტემპერამენტით, შესრულების თავისებური, განსაკუთრებული მანერით და ორიგინალური ინტერპრეტაციით. სმეტანას „ფანტაზია" ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა მუსიკალურად დახვეწილად და ამავე დროს სულ ახლებურად შეასრულა".

ეს მცირე ნაწყვეტიც მოწმობს იმ გამარჯვებას, რაც მარინე ხვიტიამ მოიპოვა კონკურსზე.

სტუდენტის მიღწევებში მუდამ დიდია პედაგოგის ღვაწლი. მარინე ხვიტია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვანდა შიუკაშვილის მოწაფეა. პედაგოგი სიამოვნებით აღნიშნავს მოწაფის იშვიათ მუსიკალობას, არტისტიზმსა და უნარს მოხიბლოს მსმენელი, ზუსტად გადმოსცეს კომპოზიტორის ჩანაფიქრი.

მარინე ხვიტია მეორე კურსის სტუდენტია. წინ დიდი და რთული შემოქმედებითი გზა უდევს. ვუსურვოთ წარმატებანი.

ზ. რცხილაძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მარინე ხვიტია; ქვემოთ — სმეტანას სახელობის საერთაშორისო კონკურსის დიპლომი, რომელიც მ. ხვიტიამ მიიღო.




# ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ლ. ხ. ქავთარაძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ზ. ნ. კახიანი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ, მედიცინის მეცნიერებისა და სასწავლებლების მთავარი სამმართველოს უფროსად;

ამხ. ზ. ზ. დუდაური — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

# სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი 1966 წლისა

## ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-11 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1967 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ბაქოში.

მოგება ხვდა სესხის ცხრამეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 100321 | 08*) | 500 | 109232 | 50*) | 500 | 118425 | 05*) | 500 |
| 100429 | 44*) | 500 | 110145 | 08*) | 500 | 118538 | 14*) | 500 |
| 100435 | 1—50 | 40 | 110219 | 39*) | 500 | 119600 | 43*) | 1000 |
| 100991 | 21*) | 500 | 111664 | 20*) | 1000 | 119689 | 34*) | 500 |
| 101035 | 14*) | 500 | 111701 | 44*) | 500 | 119757 | 1—50 | 100 |
| 101337 | 50*) | 500 | 112061 | 1—50 | 100 | 120201 | 44*) | 1000 |
| 102175 | 14*) | 2500 | 112518 | 12*) | 500 | 120640 | 28*) | 500 |
| 102812 | 16*) | 500 | 113988 | 32*) | 500 | 122276 | 1—50 | 40 |
| 103835 | 1—50 | 40 | 114139 | 45*) | 500 | 122491 | 1—50 | 100 |
| 105503 | 38*) | 500 | 114725 | 1—50 | 40 | 122602 | 10*) | 500 |
| 105517 | 1—50 | 40 | 114801 | 1—50 | 40 | 123076 | 1—50 | 40 |
| 105643 | 22*) | 1000 | 116302 | 10*) | 500 | 124072 | 05*) | 500 |
| 107574 | 05*) | 500 | 116760 | 34*) | 500 | 124677 | 1—50 | 100 |
| 108022 | 40*) | 1000 | 116953 | 08*) | 500 | 125107 | 1—50 | 40 |
| 108298 | 1—50 | 40 | 117173 | 30*) | 500 | 125197 | 11*) | 500 |
| 108444 | 36*) | 500 | 117314 | 21*) | 500 | 125205 | 21*) | 500 |
| 108679 | 1—50 | 40 | 118212 | 40*) | 500 | 125650 | 20*) | 500 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 125930 | 31*) | 500 | 138930 | 21*) | 500 | 156421 | 47*) | 500 |
| 126241 | 34*) | 500 | 139341 | 17*) | 1000 | 156733 | 29*) | 500 |
| 126419 | 04*) | 500 | 139934 | 01*) | 500 | 156739 | 23*) | 1000 |
| 126510 | 13*) | 500 | 141520 | 40*) | 500 | 156890 | 24*) | 1000 |
| 126550 | 1—50 | 40 | 141551 | 17*) | 500 | 157361 | 23*) | 500 |
| 126900 | 09*) | 500 | 141953 | 33*) | 500 | 157418 | 1—50 | 40 |
| 126959 | 09*) | 500 | 142010 | 1—50 | 40 | 157918 | 18*) | 500 |
| 128290 | 02*) | 1000 | 142069 | 02*) | 500 | 157974 | 48*) | 500 |
| 128506 | 1—50 | 100 | 142763 | 18*) | 500 | 158731 | 1—50 | 40 |
| 129108 | 01*) | 500 | 145391 | 16*) | 500 | 159219 | 41*) | 500 |
| 129523 | 1—50 | 40 | 145641 | 1—50 | 100 | 159274 | 40*) | 500 |
| 130463 | 22*) | 500 | 146329 | 46*) | 500 | 159631 | 1—50 | 40 |
| 130521 | 30*) | 500 | 146852 | 1—50 | 100 | 159672 | 20*) | 500 |
| 131846 | 1—50 | 40 | 147079 | 1—50 | 40 | 160238 | 15*) | 1000 |
| 132456 | 1—50 | 40 | 147103 | 1—50 | 40 | 163244 | 44*) | 500 |
| 132464 | 1—50 | 100 | 147525 | 37*) | 500 | 164245 | 1—50 | 40 |
| 132625 | 48*) | 500 | 147794 | 1—50 | 40 | 164325 | 06*) | 1000 |
| 132776 | 11*) | 500 | 148212 | 37*) | 500 | 164967 | 32*) | 500 |
| 132989 | 12*) | 500 | 148365 | 1—50 | 40 | 167613 | 17*) | 500 |
| 134062 | 1—50 | 40 | 148775 | 48*) | 500 | 167773 | 03*) | 500 |
| 134110 | 45*) | 500 | 149190 | 03*) | 500 | 169454 | 07*) | 500 |
| 134683 | 36*) | 500 | 149408 | 28*) | 500 | 170229 | 1—50 | 40 |
| 135431 | 49*) | 500 | 149652 | 15*) | 2500 | 170337 | 14*) | 500 |
| 135594 | 45*) | 500 | 149986 | 36*) | 1000 | 170898 | 09*) | 500 |
| 135833 | 18*) | 500 | 151070 | 08*) | 500 | 171397 | 1—50 | 100 |
| 136038 | 33*) | 500 | 151456 | 24*) | 1000 | 171676 | 19*) | 500 |
| 136117 | 1—50 | 40 | 151765 | 1—50 | 40 | 173439 | 07*) | 500 |
| 136298 | 22*) | 500 | 152155 | 38*) | 500 | 173599 | 1—50 | 100 |
| 136338 | 04*) | 500 | 152453 | 13*) | 500 | 173989 | 1—50 | 40 |
| 136455 | 1—50 | 40 | 153569 | 1—50 | 40 | 174759 | 1—50 | 100 |
| 136471 | 14*) | 500 | 154566 | 19*) | 1000 | 175046 | 19*) | 2500 |
| 138602 | 1—50 | 40 | 154749 | 1—50 | 40 | 175087 | 19*) | 500 |
| 138640 | 26*) | 5000 | 155846 | 15*) | 500 | 175355 | 22*) | 500 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 176371 | 45*) | 1000 | 183169 | 1—50 | 40 | 190561 | 32*) | 500 |
| 177102 | 47*) | 500 | 183310 | 03*) | 500 | 190632 | 1—50 | 40 |
| 178748 | 1—50 | 100 | 184191 | 02*) | 1000 | 193691 | 42*) | 1000 |
| 179671 | 40*) | 500 | 185301 | 24*) | 5000 | 193942 | 46*) | 500 |
| 179747 | 06*) | 500 | 185449 | 44*) | 2500 | 194918 | 1—50 | 40 |
| 179826 | 18*) | 500 | 186196 | 25*) | 1000 | 195451 | 18*) | 500 |
| 179957 | 25*) | 1000 | 186596 | 06*) | 500 | 196766 | 31*) | 500 |
| 180026 | 29*) | 500 | 187263 | 25*) | 500 | 197968 | 02*) | 500 |
| 180734 | 06*) | 500 | 187467 | 41*) | 500 | 198400 | 1—50 | 40 |
| 181031 | 1—50 | 100 | 187784 | 28*) | 2500 | 198575 | 10*) | 500 |
| 181042 | 1—50 | 100 | 187882 | 32*) | 500 | 198918 | 20*) | 500 |
| 181614 | 05*) | 500 | 187953 | 1—50 | 100 | 198973 | 1—50 | 40 |
| 182863 | 29*) | 500 | 189418 | 23*) | 1000 | | | |

*) ამ სერიების ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე— ბაქოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ტ. მანაფოვი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. პ. ესინა.

# ჩა ვცეკვოთ, ჩა მოვისმინოთ

## ტელევიზია

24 ნოემბერი

10.00 — კინონარკვევი, 10.40 — მხატვრული ფილმი „ბორისველის ციხის აჩრდილი", 17.35 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის— „წიგნის თარო", 18.30 — გადაცემა „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები" — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. სეფიაშვილი. 18.50 — განცხადებები, 18.55 — გადაცემა „ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი მ. კომახიძე" (დაბადების 60 წლისთავის გამო). 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — საღამოს პანორამა „სატელევიზიო ცნობათა ბიურო. 20.00 — დიხტიარევი „თედორე ტალანოვი". სატელევიზიო მუსიკალური სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.10 — მხატვრული ფილმი „ედგარი და ქრისტინე". 22.35 — გადაცემათა პროგრამა 25 ნოემბრისათვის. 22.40 — ეთერშია ახალგაზრდობა (მოსკოვიდან).

## თეატრები

24 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — განთიადი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჩვენ, მისი უდიდებულესობა (პრემიერა). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი შეშლილი ძმა.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9 93 03, 9 03 09, პ/მგ მდივნის — 9 72 80 სამდივნოსი — 9 66 10 განყოფილებებისა: პარტიული — 9 87 61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 3 18 70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3 27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9 73 24 ილუსტრაციის — 3 28 54, განცხადებების — 3 93 96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03447 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.